



თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური პერსონალის
აფილირების წესი

2019

მუხლი I რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი არეგულირებს შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის აფილირების პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულებებს, უფლებებსა და მოვალეობებს;

წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მის შესახებ არის ღია და ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის.

მუხლი II. ტერმინები და განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 აფილირება – წინამდებარე წესის მიზნებისათვის, სასწავლო უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმებაა (აფილირების ხელშეკრულება), რომლითაც სასწავლო უნივერსიტეტში მომუშავე აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტთან, მისი სახელით მოღვაწეობს საგანმანათლებლო სივრცეში და სასწავლო უნივერსიტეტში მისი მუშაობის პერიოდში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, რომლის განხორციელების დროს მის მიერ მიღებული კვლევის შედეგები ეთვლება სასწავლო უნივერსიტეტს;
- აქტიურად არის ჩართული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში;
- აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა შემოქმედებით საქმიანობაში. მონაწილეობას იღებს ახალგაზრდა პროფესიული კადრების აღზრდის საკითხებში;
- ხელმძღვანელობს მაგისტრანტებს, კურატორობას უწევს სასწავლო ჯგუფებს, მონაწილეობას იღებს გრანტების მოზიებაში და ეხმარება კურსდამთავრებულებს დასაქმებაში;

2.2 აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირია, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება/ ხელშეკრულება;

2.3 აფილირების ხელშეკრულება – წერილობითი შეთანხმებაა, რომელიც გაფორმებულია სასწავლო უნივერსიტეტსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ მომუშავე აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის, რომელიც განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში;

მუხლი III აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები

3.1 აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გასული პირი, თუ იგი ამავე დროს არის სხვა უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე ან არის სხვა უსდ-ს მოწვეული სპეციალისტი შეთანხმების / ხელშეკრულების გაფორმებამდე სასურველია სასწავლო უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება/ ხელშეკრულება;

3.2. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც დაიკავებს სხვა უსდ-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აკადემიურ თანამდებობას, ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ სასწავლო უნივერსიტეტს, აფილირების მიზნით გააფორმოს აფილირების შეთანხმება/ შრომითი ხელშეკრულება;

3.3. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აცნობოს სასწავლო უნივერსიტეტის დეკანატს აღნიშნულის შესახებ და ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტების ხელმძღვანელობის შესახებ;

3.4. აფილირების შეთანხმების/ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) გარდაცვალება;
- გ) საკონკურსო ვადის გასვლა;
- დ) აფილირების წესის დარღვევა;
- ე) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარება ან სასამართლოს მიერ მხარდამჭერის დანიშვნა;

3.5. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შეთანხმების შრომითი ხელშეკრულების მოშლას.

მუხლი IV გარდამავალი დებულება

4.1. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი მოცემულ ეტაპზე თავისუფლდება სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმება/ხელშეკრულების გაფორმებისაგან, თუ მან ამ წესის დამტკიცებამდე გააფორმა სხვა უსდ-თან აფილირების ხელშეკრულება.